პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის —— მაისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე
ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5–7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამსახურებული ეკონომისტის ჯემალ წულუკიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, ყაზბეგის ქ. N21–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხედვით.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქალაქ ბათუმში, ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელი ბატონი ჯემალ წულუკიძე, ათეული წლების მანძილზე მუშაობდა (1956 წლიდან 1991 წლამდე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ჯერ უფროს ეკონომისტად, შემდეგ რევიზორად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, დაზღვევის სამმართველოს უფროსად და ბოლოს მინისტრის პირველ მოადგილედ (1969-1991წწ.).

დაჯილოდებული იყო „ხალხთა მეგობრობის" ორდენით (1986წ); 1979 წელს მიაკუთვნეს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება; 1986 წელს საფინანსო ორგანოების წარჩინებული მუშაკის წოდება. მიღებული აქვს ასევე აჭარის მთავრობის არაერთი საპატიო სიგელი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის საპატიო სიგელი და მრავალი სხვა ჯილდო.

გარდაიცვალა 1993 წელს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ყაზბეგის ქ. N21–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ჯემალ წულუკიძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი 2019 წლის 10 მაისი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა მიმდინარე წლის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი შემდეგი საკითხები:

1. ,,ქალაქ ბათუმში ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2. ქ. ბათუმში გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რიგით პირველი საკითხის (ქალაქ ბათუმში ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი) განხილვა საკრებულოს სხდომაზე. ხოლო, რიგით მეორე საკითხი (ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებ-ლად გადაეცემა მას შემდეგ, რაც კომისია, საქართველოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ოიბიეტქების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისგან ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით მიიღებს დადებით პასუხს.

კომისიის თავმჯდომარე: **ირაკლი პატარიძე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაცია

N 25/15275 14/08/2018 15275-25-2-201808141022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსს
ბატონ რაულ ბოლქვაძეს

ასლი: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს

ქალბატონ ნადეჟდა ხეჟანიძეს

(ქ. ბათუმი, ყაზბეგის ქ. N21, ბN21)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი (24244/25; [illegible]2018წ).

დანართი: „ 2" ფურცელი პირველ ადრესატს

პატივისცემით,

[illegible]ეფანაძე

[illegible]ტრაციის უფროსი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
ფაქსიმილი № 11/509
„14" აგვისტო 2018 წ.

[illegible]ოიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 27 26 09

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. N 119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 N119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel. (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3375-01-01-10-2-201808131115

N 01-01-10/3375
13/08/2018

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერს ბატონ ლაშა კომახიძეს

ასლი: მოქალაქე ნადეჟდა ბეჟანიძეს
(პ/ნ 61001030893)
მის.: ქ. ბათუმი, ყაზბეგის ქ. N21, ბ. 21
ტელ: 593 33 06 47

ბატონო ლაშა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შემოსულია მოქალაქე ნადეჟდა ბეჟანიძის (პ/ნ 61001030893) 2018 წლის 01 აგვისტოს განცხადება, რომელშიც დასმულია საკითხი განმცხადებლის მეუღლის - გარდაცვლილი ჯემალ წულუკიძის საცხოვრებელ სახლზე, მისი (ჯემალ წულუკიძე) სახელობის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

გიგზავნით აღნიშნულ განცხადებას. გთხოვთ, განიხილოთ და კომპეტენციის ფარგლებში პასუხი აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი „1" ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ნინელა ბუაძე

(ორგანიზაციის დასახელება ან სახელი და გვარი)

ს/კ ან პ/ნ 61001030893

მისამართი ბიდეკინ უსუფის 21 ბ.ნ. 21

მობ. ტელეფონი 593 330647

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემი მეუღლე - ჯემალ წულუკიძე 1956 წლიდან 1991 წლამდე მუშაობდა ოჩამჩირის ღორფერმაში ბრიგადირად ჯერ უფროს ოპერატორად, შემდეგ ხვნამისად ექსკავატორის უფროსად და ბოლოს 1969 წლიდან ბრიგადის პირველ მოადგილედ 1991 წლამდე. მუშაობის პერიოდში ლაჯანურის (1986 წელს) „ხეობა ნეფოლოგის" ოქტომბერ, 1979 წელს ბიოფაბრიკა აჭარის ა.ს. ლაშხუკუბანის ავტობაზის საჯარო წიგნში, 1986 წელს ზღვისპირა ოქტომბერის ნარჩენების მუშაობის წიგნში. ასევე, ძველებლებზე 1986 წელს ზღვისპირა ოქტომბერის ნარჩენების ავტობაზის ბ.ა. ფინანსია ბრიგადის წევრად აჭარის მიკროფონის ასევე საჯარო ბიჭად და ბატ. ფინანსია ბრიგადის საჯარო ბიჭად, ბიჭლუკად და ჯუნდად ბოლოდან.

1993 წლის ივლისში ფოთლიანად ლ აჭარის მიკროფონის ლიდერი ბრ. (ბიჭი ვაბიჭე ინჟინერ ბიჭლიანელი) ლ ამბიონ ლიმენარი ინჟინერ ბიჭლ ვაბიჭე ინჟინერ ბიჭლიანელი ბიჭლ ლიანელი ბიჭლიანელ ბიჭლ

ძალიან ბიჭუაბლიანი ბიჭ ბიჭლიანი ოქტომბერ ნიანეს, ხალ ბიჭ ბიჭლ ბიჭ ბიჭ ბიჭ 1962-1993 წლამდე ლ ბიჭ ლიანელ ბიჭ ბიჭ ბიჭ ბიჭ, ბიჭ ბიჭ ბიჭ ბიჭ